საქართველოს პარლამენტის დადგენილება

"საქართველოს პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 2 მარტის N2714–Iს დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. "საქართველოს პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 2 მარტის N2714–Iს დადგენილებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრს (გარდა თვითმმართველ ქალაქებში არჩეული მაჟორიტარი პარლამენტის წევრებისა) ამომრჩევლებთან ურთიერთობისა და მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფისათვის პარლამენტის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გამოეყოფა 1070 ლარი, ხოლო თვითმმართველ ქალაქებში არჩეულ მაჟორიტარ პარლამენტის წევრს – 1400 ლარი. ამ თანხის განკარგვის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტის თავმჯდომარე".

ბ) მე–3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა სამუშაო ოთახებით უზრუნველყონ ის პარტიები (ბლოკები), რომლებმაც პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში 5–პროცენტიანი ბარიერი გადალახეს."

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2008 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე დავით ბაქრაძე

თბილისი,
2008 წლის ივლისი,
N